

ინტეგრირებული ანგარიშგების მიმართ მარწმუნებელი მომსახურების გამოყენების დაჩქარება საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციისა (IFAC) და ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საბჭოს (IIRC) მხარდაჭერის ინიციატივა ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების მიმართ



მოწოდება მოქმედებისკენ:

აუცილებელია შემუშავდეს გლობალური მექანიზმი ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების გამოყენების მიმართულებით, რათა განმტკიცდეს როგორც ინტეგრირებული ანგარიშგების სფეროში, ისე კორპორაციული ანგარიშგებისა და მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებისა და სამოქმედოდ შეშვების პროცესში მიღწეული წინსვლა. ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საბჭოს (IIRC) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) საწყისი პოზიცია, რომელიც ამ დოკუმენტშია წარმოდგენილი, მიზნად ისახავს დებატების დაწყებას ბუღალტრის პროფესიასა და მის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების შემდგომი განვითარების შესახებ, ინტეგრირებული ანგარიშგებისა და ინტეგრირებული აზროვნების მიმართ ნდობის ამაღლებისა და, საბოლოო ჯამში, ზიზნის განვითარებაში მდგრადობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით.

ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების განვითარება და ევოლუცია აუცილებელია ინტეგრირებული ანგარიშგების საიმედოობისა და მის მიმართ ნდობის ასამაღლებლად.

ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საფუძვლების (The < IR > Framework) შესაბამისად მომზადებული ინტეგრირებული ანგარიშგების ერთმანეთთან აკავშირებს ყველა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც ეხება საწარმოსა და მის ღირებულების შექმნის პროცესს, მათ შორის, საწარმოს ფინანსურ, საოპერაციო, არამატერიალურ, მდგრადი განვითარების ან „ეკოლოგიურ, სოციალურ და მმართველობით“ ასპექტებს, საწარმოს მმართველობის, სტრატეგიის, რესურსების განაწილებისა და ურთიერთობების მართვის, ზიზნისმოდელისა და ასევე მისი საქმიანობის შედეგებისა და პერსპექტივის კონტექსტში. ჩვენ გვჯერა რომ:

1. ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურება ხელს უწყობს ინტეგრირებული ანგარიშგებისა და მომავალზე ორიენტირებული (საპროგნოზო) ინფორმაციის სანდოობის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ინვესტორების მარეგულირებელ გარემოს. საბოლოოდ, ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ რწმუნება ამაღლებს საწარმოს შესახებ

მომზადებული კორპორაციული ანგარიშგების სანდოობას, რაც უფრო მტკიცე ფუნდამენტს ქმნის კაპიტალის ბაზრებისა და საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად.

- ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ რწმუნების მისაღებად აუცილებელია ახლებური აზროვნება. უკანასკნელ პერიოდში რამდენიმე ორგანიზაციის ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ შეზღუდული რწმუნების საჯარო სივრცეში გამოჩენა და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) „გაფართოებული გარე ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების კრედიტები (EER)“ კარგი დასაწყისია. თუმცა, კიდევ უფრო მეტი ცოდნა და მითითებებია საჭირო ამ სფეროში, განსაკუთრებით შეზღუდული რწმუნების გარიგებიდან დასაბუთებული რწმუნების გარიგებაზე გადასვლის თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი გადასვლისთვის აუცილებელია მარწმუნებელი პროცედურები, მტკიცებულებების მოპოვება ინტეგრირებული ანგარიშგებისა და ძირითადი ზიზნისპროცესების შესახებ, რომლებიც საწარმოს ღირებულების შექმნის პროცესში მონაწილეობს.
- ფინანსურ აუდიტორებს, მათ შორის მათ, რომლებიც სავალდებულო აუდიტს ატარებენ და ასევე აუდიტორულ ფირმაში

მომუშავე დამოუკიდებელ პრაქტიკოსებს კარგი შესაძლებლობები აქვთ ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ მაღალი ხარისხის რწმუნების გასაცემად, ვინაიდან მათ გააჩნიათ მარწმუნებელი მომსახურებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, გამოცდილება ფინანსურ აუდიტში, პროფესიული სკეპტიციზმისა და განსჯის გამოყენებაში. გარდა ამისა, ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურება ბუღალტრების სამომავლო როლის ძირითადი, განსაკუთრებული მნიშვნელობის ელემენტია, რაც მათ პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების საშუალებას აძლევს კორპორაციულ ანგარიშგების გამოყენების ფინანსური ინფორმაციის გარდა სხვა სახის ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც საწარმოს ღირებულების შექმნის პროცესთან არის დაკავშირებული. ეს გულისხმობს მუშაობას მულტიდისციპლინურ/მრავალპროფილურ გუნდებში და, საჭიროებისამებრ, ვიწრო პროფილის ექსპერტების მოწვევას კონკრეტული განსახილველი საგნის შესაბამისად. თუმცა, ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგების შესრულებას გარკვეული სირთულეებიც ახლავს იმ ფინანსური აუდიტორების ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების თვალსაზრისით, რომლებიც ამგვარ გარიგებებს ხელმძღვანელობენ, ვინაიდან ინტეგრირებული ანგარიშგება მოიცავს სამეწარმეო საქმიანობებისა და ინფორმაციის ფართო სპექტრს.

ეს ინიციატივა მიზნად ისახავს ინტეგრირებული ანგარიშგების მიმართ მარწმუნებელი მომსახურების გამოყენების დაჩქარებას, რადგან ამ დოკუმენტიდან უფრო ნათელი გახდება, რას გული-სხმობს ეს საწარმოების, აუდიტორებისა და სხვებისთვის. პროგრესისთვის აუცილებელია, რომ კორპორაციული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სისტემის ყველა მონაწილე ასრულებდეს რწმუნების მისაღებად საჭირო რაღაც როლს.

ბევრი რამეა გასაკეთებელი საწარმოებში, ასევე აუდიტორებთან და მარწმუნებელი მომსახურების პროვაიდერებთან დაკავშირებით. ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების განვითარება დამოკიდებულია ამგვარი მომსახურებისთვის თავად საწარმოთა მზადყოფნაზე, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომლებიც უკავშირდება ანგარიშგების, საწარმოს ძირითადი პროცესებისა და დოკუმენტაციის ხარისხს. **ინტეგრირებულ ანგარიშგებაზე პოტენციური გადასვლის საკითხის გლობალურ დონეზე მოგვარება** ფასს სტანდარტების ფონდის (IFRS Foundation) ოფიციალური დოკუმენტების ფარგლებში, მომხმარებლების უზრუნველსაყოფად თანმიმდევრული, შესადარისი, საიმედო და სარწმუნო ინფორმაციით, შემდგომში კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ინტეგრირებული ანგარიშგების მიმართ ნდობის ამაღლებას. თუმცა, დიდი ნდობის მისაღწევად ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურება გაცილებით უფრო სწრაფად, თანმიმდევრულად და ერთგვაროვნად უნდა განვითარდეს სხვადასხვა იურისდიქციაში.

მაღალი ხარისხის რწმუნება ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ

სად ვიმყოფებით ახლა?

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ რწმუნების მიღება უკვე უზრუნველყოფილია მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტით (მგსს) 3000 (გადასინჯული) – „მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა“, რაც წარმოადგენს მაღალი ხარისხის რწმუნების საფუძველს ყველა ტიპის საწარმოსა და მარწმუნებელი გარიგებისთვის და იმისთვისაა გამიზნული, რომ გამოიყენონ როგორც ბუღალტრებმა, ისე სხვა დაინტერესებულმა პირებმა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მგსს 3000 (გადასინჯული) შეიცავს ხარისხის მართვასა და პროფესიულ ეთიკასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ფორმისა და ცალკეული გარიგების დონისთვის, რომლებიც შემუშავებულია რწმუნების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად და საზოგადოების ინტერესების დასაცავად. მგსს 3000-ის (გადასინჯული) გამოყენების მხარდასაჭერად აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) „გაფართოებული გარე ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების პრინციპები (EER)“ ფარგლებში შემუშავდა დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები. ინტეგრირებული ანგარიშგება გაფართოებული გარე ანგარიშგების ერთ-ერთი ნაირსახეობაა და ამ პროცესის ფარგლებში შემუშავებული მითითებები ათვლის წერტილია ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების შესაბამისობაში მოსაყვანად ინტეგრირებული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სფეროში არსებულ სიახლეებთან.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად გერმანიაში, აუდიტორები უკვე ვალდებული არიან, დასაბუთებული რწმუნება მოიპოვონ მმართველობის ანგარიშგების შინაარსის დიდი ნაწილის შესახებ, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ხოლო რაც შეეხება ე.წ. არასაფინანსო ინფორმაციას, ამჟამად შემოწმებას ექვემდებარება მისი არსებობა. სამხრეთ აფრიკაში განვითარდა *კომპინირებული რწმუნების მოდელი*, რაც ინტეგრირებულ ანგარიშგებასთან ერთად, ხელს უწყობს საწარმოს ფარგლებში მიღებული და მარწმუნებელი მომსახურების გარე პროვაიდერების მიერ გაცემული რწმუნების უკეთეს კოორდინაციას. ზემოაღნიშნული გულისხმობს საწარმოს სხვადასხვა ქვედანაყოფის სამუშაოსა (როგორცაა შიდა აუდიტი, კანონშესაბამისობა და რისკების მართვა) და დამოუკიდებელი გარე მარწმუნებელი მომსახურების ჰარმონიზაციას, რათა დირექტორთა საბჭომ და ხელმძღვანელობის ზედა დონეებმა მიიღონ რწმუნებისა და ინტეგრირებულ ანგარიშგებასთან დაკავშირებული რისკების მართვის ღონისძიებების ფართო სურათი.

თანდათანობით ვითარდება ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურებაც – უკვე ცნობილია შეზღუდული რწმუნების მრავალი მაგალითი ინტეგრირებული ანგარიშგების კომპონენტების, მათ შორის მდგრადი განვითარების შერჩეული მაჩვენებლების შესახებ, როგორცაა საერთაშორისო

ორგანიზაციების „მდგრადობის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს“ (SASB) ან „საერთაშორისო ანგარიშგების ინიციატივის“ (GRI) სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. ამასთან შედარებით უფრო უახლოეს პერიოდში გამოჩნდა შეზღუდული რწმუნების ანგარიშები ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობას მომზადებული ჰქონდა ინტეგრირებული ანგარიშგების კრიტერიუმების (მაგ., <IR> საფუძვლები) შესაბამისად.

შეზღუდული რწმუნების მაგალითები ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ:

- **ABN AMRO** – ნიდერლანდებში დაფუძნებული ბანკი.
- **Cbus** – ავსტრალიის საპენსიო ფონდი.
- **CIPLA** – ფარმაცევტული კომპანია, რომლის სათავე ოფისი ინდოეთში მდებარეობს.
- **CPA Australia** – პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია, რომლის სათავე ოფისი ავსტრალიაში მდებარეობს.
- **Petroleum Chemicals Group** – ქიმიკატების მწარმოებელი კომპანიების ჯგუფი მალაიზიაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში აუდიტორების პასუხისმგებლობები ამგვარ ინფორმაციასთან დაკავშირებით უკვე განსაზღვრულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტით (ასს 720) (გადასინჯული) – „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან მიმართებით“. ეს ვალდებულებები მოიცავს ფინანსური ანგარიშგების თანხლები სხვა ინფორმაციის გაცნობასა და განხილვას (როგორცაა მმართველობის ანგარიშგება და სხვაგვარი დასახელების მქონე ანალოგიური ეროვნული წლიური ანგარიშები, რომლებიც შეიცავს ან რომლებსაც თან ახლავს აუდიტორული ფინანსური ინფორმაცია), რათა გამოავლინონ არსებითი შესუსტება სხვა ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის მიერ აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან დაადგინონ, ხომ არ რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ „სხვა ინფორმაცია“ შეიძლება შეიცავდეს არსებით უზუსტობას.

რის მიღწევა გვსურს?

იდეალურ შემთხვევაში, საბოლოო შედეგი უნდა იყოს როგორც ინტეგრირებული ანგარიშგების, ისე ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ დასაბუთებული რწმუნების ფართოდ დაწერვა.

ინტეგრირებულ ანგარიშგებში ასახული ინფორმაციის რელევანტურობისა და საიმედოობის გასაუმჯობესებლად, რომელსაც დაინტერესებული მხარეები იყენებენ გადაწყვეტილებების მისაღებად, მნიშვნელოვანია შემუშავდეს საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ერთგვაროვანი მიდგომა, ინტეგრირებული ანგარიშგების სანდობის ასამაღლებლად ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ მგსს 3000-ის (გადასინჯული) საფუძველზე გაცემული რწმუნების მეშვეობით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ინტეგრირებული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სფეროში არსებულ სიახლეებთან. ინტეგრირებულ ანგარიშგებაზე გაცემული რწმუნება განსხვავდება სხვა ფორმის გაფართოებულ გარე ანგარიშგებაზე (როგორცაა, მაგალითად მდგრადი განვითარების ანგარიშგება) გაცემული რწმუნებისგან, ვინაიდან ინტეგრირებული ანგარიშგება მნიშვნელოვანწილად მომავალზეა ორიენტირებული და დაკავშირებულია საწარმოს ყველა ელემენტთან (რა იგულისხმება ამ დოკუმენტში ტერმინში „საწარმო“, იხ. ქვემოთ ჩანართში), ყოფნობა მრავალნაირ კაპიტალს, რაც მოიცავს ყველანაირ შესაბამის რესურსსა და ურთიერთობას და ემყარება ინტეგრირებულ აზროვნებას, სამეწარმეო საქმიანობის უკეთესი მეთოდებით წარმართვის მიზნით.

რა იგულისხმება ტერმინის „საწარმო“ მინიშნებაში

- **რა** – მისი მიზანი, სტრატეგია, რისკები და შესაძლებლობები, რომლებიც გამომდინარეობს საოპერაციო გარემოდან - ე.ი. ღირებულების შექმნა, როგორც < IR > საფუძვლების ფუნდამენტური კონცეფცია.
- **რასთან ერთად** – მისი რესურსები და კავშირები ე.ი. სხვადასხვა სახის კაპიტალი, როგორც <IR> საფუძვლების ფუნდამენტური კონცეფცია.
- **როგორ** – ღირებულების შექმნის პროცესი, როგორც <IR> საფუძვლების ფუნდამენტური კონცეფცია, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის მმართველობას, სტრატეგიას, ბიზნესმოდელს, რისკებისა და შესაძლებლობების მართვას, რესურსების განაწილებისა და ურთიერთკავშირების მართვას, ასევე არსებითობის განსაზღვრას ინტეგრირებული ანგარიშის მომზადებისას და სხვა ძირითად ბიზნესპროცესებს.
- **რატომ** – მისი კონკურენტული უპირატესობა ღირებულების შექმნის პროცესში სხვადასხვა სახის კაპიტალის გამოყენებაში, ღირებულების შესაქმნელად და შესანარჩუნებლად - მისი ინტეგრირებული აზროვნება.

ეს ელემენტები ინტეგრირებული ანგარიშების მიმართ მარწმუნებელი მომსახურების შესრულებისა და მარწმუნებელი დასკვნის ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს ინტეგრირებულ ანგარიშებაში აღწერილი *საწარმოს* შესახებ, რაც ინვესტიორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საწარმოს საქმიანობისა და მისი სტაბილურობის შეფასების საშუალებას აძლევს.

როგორ უნდა გავაკეთოთ ეს?

ინტეგრირებული ანგარიშების შესახებ რწმუნება შეიძლება იყოს შეზღუდული ან დასაბუთებული ან ორივეს კომბინაცია, ანუ განსხვავებული სხვადასხვა განსახილველი საგნისთვის, რომლებსაც მოიცავს ინტეგრირებული ანგარიში, როგორც ეს ნაჩვენებია მე-4 კვერდზე წარმოდგენილ დიაგრამაზე.

რწმუნების ტიპებს შორის განსხვავება

რწმუნების ტიპებს შორის განსხვავება ძირითადად დაკავშირებულია იმ სამუშაოს/პროცედურების ხასიათსა და მასშტაბთან, რომელსაც მარწმუნებელ მომსახურებაში ასრულებს პრაქტიკოსი ანგარიშებაში წარმოდგენილი ინფორმაციის არსებითი უზუსტობის რისკთან დაკავშირებით, კერძოდ, ინტეგრირებულ ანგარიშებასა და სხვა ძირითად ბიზნესპროცესებთან მიმართებით. დასაბუთებული რწმუნება, თავისი არსით, დაახლოებით ისეთივე დონის რწმუნებაა, როგორც არის აუდიტორული მოსაზრება ფინანსური ანგარიშების შესახებ, როდესაც აუდიტორი მოსაზრებას გამოთქვამს იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშება წარდგენილია თუ არა სამართლიანად.

ინტეგრირებული ანგარიშების შეზღუდული და დასაბუთებული რწმუნების გარიგებები მოიცავს ისეთი პროცედურების ჩატარებას, როგორცაა გამოკითხვა, დაკვირვება, დათვალაობა, ხელახლა გამოთვლა, პროცედურის ხელახლა შესრულება, დადასტურება და ანალიზური პროცედურები ხელმძღვანელობის დოკუმენტაციასთან მიმართებით, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს მმართველობასთან, სტრატეგიასთან, რესურსების განაწილებასა და დაინტერესებული მხარეების ურთიერთობების მართვასთან, ბიზნესმოდელთან, რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან, სტრატეგიულ და ეფექტიანობის მაჩვენებლებთან, ასევე ინტეგრირებულ ანგარიშში მათი წარდგენის შეფასებას.

ინტეგრირებული ანგარიშების დასაბუთებული რწმუნების გარიგებისთვის ეფექტიანი სამუშაო გეგმა, როგორც წესი, მოიცავს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვებას მმართველობითი კონტროლის მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობის შესახებ, საკმარისი მტკიცებულებების მოსაპოვებლად საჭირო სხვა პროცედურებთან ერთად, რომლებიც ტარდება მარწმუნებელი მომსახურების შემსრულებელი პრაქტიკოსის დასკვნის განსამტკიცებლად.

მაგალითად, სტრატეგიული მართვის პროცესის ამოცანა შეიძლება იყოს საწარმოსთვის მკაფიო სტრატეგიული მიზნების დასახვა იმ გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც ის საქმიანობს, ასევე საწარმოს საერთო მიზნის განსაზღვრა. რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ამ ამოცანებსა და მიზნების შესრულებას, შეიძლება გაკონტროლდეს ან შერბილდეს ისეთი საპასუხო ღონისძიებების საშუალებით, როგორცაა რესურსების სათანადო განაწილება ცვალებად გარემოზე მონიტორინგის განსახორციელებლად, სტრატეგიულ მართვასთან დაკავშირებული როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრა, სტრატეგიული მართვის პროცესის შესაბამისობაში მოყვანა სხვა ძირითად ბიზნესპროცესებთან, ადეკვატური ზედამხედველობის გაწევა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ და ზემოაღნიშნული საკითხების ნათლად და გასაგებად დოკუმენტირება ისეთი ფორმით (მაგ., სტრატეგიულ გეგმასა და შესაბამისი ბიზნესმოდელის დოკუმენტაციაში), რომელიც შეესაბამება მარწმუნებელ პროცედურებს. ეს პროცესები მოკლედ უნდა იყოს განხილული ინტეგრირებულ ანგარიშში.

დასაბუთებული რწმუნების გარიგება უფრო მოსალოდნელია, რომ მოიცავს ისეთ პროცედურებს, როგორცაა სტრატეგიული ამოცანების, რისკებისა და შესაძლებლობების და ასევე რესურსების განაწილების გადაწყვეტილებების დადასტურება; ძირითადი ბიზნესპროცესების დოკუმენტების კრიტიკული მიმოხილვა; ძირითადი ბიზნესპროცესების მუშაობის ეფექტიანობის შეფასება და ძირითად ბიზნესპროცესებში დანერგილი კონტროლის მექანიზმების ფუნქციონირების შემოწმება.

ინტეგრირებული ანგარიშების დასაბუთებული რწმუნების გარიგებებმა საწარმო, მისი ინვესტიორები და სხვა დაინტერესებული მხარეები თანდათანობით უფრო და უფრო მაღალი ღირებულების მარწმუნებელი აქტივობებით უნდა უზრუნველყოს. ამასთან, ინტეგრირებულ ანგარიშზე დასაბუთებული რწმუნების მიღებისკენ სწრაფვას სულ უფრო მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება რწმუნების მისაღებად მზაობის თვალსაზრისით, რაშიც მოიაზრება შემდეგი:

- საწარმოს მზაობა: უფრო დეტალური შესწავლა აუდიტორის მხრიდან, რასაც ხელმძღვანელობის მეტი დრო, *საწარმოს (ბიზნესის)* დოკუმენტაცია და ღირებულების შექმნის პროცესის არსებობა დასჭირდება; ასევე
- დაინტერესებული მხარეების მზაობა: მოითხოვენ თუ არა დაინტერესებული მხარეები ანგარიშისა და მასში ასახული ძირითადი ბიზნესპროცესების მიმართ სანდოობის ამაღლებას, მათ შესახებ დასაბუთებული რწმუნების მიღებით. ეს, თავის მხრივ, საწარმოს დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში იმის თაობაზე, ღირს თუ არა დამატებითი ინვესტიციის ჩადება დასაბუთებული რწმუნების გარიგებაში.

სპეციალური რწმუნება არსებითობის განსაზღვრაზე, ინტეგრირებულ ანგარიშებაზე ან სხვა ძირითადი ბიზნესპროცესების შესახებ, რომლებიც ღირებულების შექმნასთან არის დაკავშირებული, შეიძლება კონფიდენციალური იყოს (მაგ., აისახოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ან აუდიტის კომიტეტისთვის მიწოდებულ ანგარიშში), ან საჯარო, მაგრამ თვითონ ინტეგრირებული ანგარიშის შესახებ გაცემული რწმუნებისგან განცალკევებით (მაგ., შიდა კონტროლის მარწმუნებელი ანგარიშები).

ინტეგრირებული ანგარიშის მომზადების პროცესი²

მუშაობა ინტეგრირებული ანგარიშის მომზადების პროცესთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვაზე, რომელთა შესახებაც ხდება ინფორმირება ინტეგრირებულ ანგარიშში.

შეფასება კონტროლის მექანიზმების სტრუქტურისა და დანერგვითა თუ არა ისინი

შესწავლა

ინტეგრირებული ანგარიშის შეზღუდული რწმუნება¹

პროცედურები იმ სფეროების გამო-სავლენად, სადაც, სავარაუდოდ, შე-იმღება არსებობდეს არსებითი უზუსტობა ინტეგრირებულ ანგარიშში.

აუცილებელია საკმარისი და შესა-ფერისი მტკიცებულებების მოპოვება დასკვნის ჩამოსაყალიბებლად იმის თაობაზე, პრაქტიკოსის ყურადღება მიიქცია თუ არა ისეთმა რამემ, რაც მას დაარწმუნებდა, რომ ინტეგრირებული ანგარიში, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის < IR > საფუძვლების შესაბამისად

პროცედურებისა და ტესტირების მასშტაბი მნიშვნელოვნად იზრდება

ინტეგრირებული ანგარიშის შეზღუდული და დასაბუთებული რწმუნების გარიგებები მოიცავს ისეთი პროცედურების ჩატარებას, როგორცაა გამოკითხვა, დაკვირვება, დათვალიერება, ხელახლა გამოთვლა, ხელახლა შესრულება, დადასტურება და ანალიზური პროცედურები, ხელმძღვანელობის დოკუმენტაციასთან მიმართებით, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს მმართველობასთან, სტრატეგიასთან, რესურსების განაწილებასა და დაინტერესებული მხარეების ურთიერთობების მართვასთან, ბიზნესმოდელთან, რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან, სტრატეგიულ და ეფექტიანობის მაჩვენებლებთან, ასევე ინტეგრირებულ ანგარიშში მათი წარდგენის შეფასებას.

პროცედურებისა და ტესტირების ბუნება და მასშტაბი შეზღუდული ან დასაბუთებული რწმუნების გარიგებაში დამოკიდებულია კონკრეტული გარიგების ინდივიდუალურ გარემოებებზე, მაგრამ უფრო ფართომასშტაბიანი იქნება დასაბუთებული რწმუნების გარიგებისთვის.

ინტეგრირებული ანგარიშგების მომზადების პროცესის დასაბუთებული რწმუნების გარიგებაში ასევე აუცილებელია საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება შესაბამისი კონტროლის მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობის შესახებ, მათ შორის, ინტეგრირებული ანგარიშის მომზადებისთვის განკუთვნილი პროცესისა და სხვა ძირითადი ბიზნესპროცესების ფარგლებში ხელმძღვანელობის მიერ დანერგილი კონტროლის ისეთი მექანიზმების შეფასება, რომლებიც ღირებულების შექმნის პროცესთან არის დაკავშირებული.

შეზღუდული რწმუნების გარიგებაში მტკიცებულებები ძირითადად მოიპოვება ხელმძღვანელობის დოკუმენტაციის განხილვით, გამოკითხვის, დაკვირვებისა და ანალიზური პროცედურების ჩატარებით და პოტენციურად უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა (ან საერთოდ არ ეთმობა) კონტროლის მექანიზმების ტესტირებას და მტკიცებულებების მოპოვებას გარე წყაროებიდან, ვიდრე დასაბუთებული რწმუნების გარიგების შემთხვევაში.

ინტეგრირებული ანგარიშის დასაბუთებული რწმუნება

პროცედურები ინტეგრირებულ ან-გარიშში არსებითი უზუსტობის რისკების გამოსავლენად და შესაფა-სებლად, ასევე ინტეგრირებული ანგარიშის მომზადების პროცესისა და სხვა ძირითადი ბიზნესპროცე-სების ფუნქციონირების ეფექტიანო-ბის შესაფასებლად, რომლებიც აღწე-რილია ინტეგრირებულ ანგარიშში.

აუცილებელია საკმარისი და შესა-ფერისი მტკიცებულებების მოპოვება დასკვნის ჩამოსაყალიბებლად იმის თაობაზე, პრაქტიკოსის აზრით, ინტეგრირებული ანგარიში არის თუ არა სათანადოდ მომზადებული, ყველა არსებითი ასპექტის გათვა-ლისწინებით, < IR > საფუძვლების შესაბამისად.

შესწავლა

ღირებულების შექმნასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი ბიზნესპროცესები²

მუშაობა სხდომათა დარბაზთან და სხვა ძირითად ბიზნესპროცესებთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვაზე, რომელთა შესახებაც ხდება ინფორმირება ინტეგრირებულ ანგარიშში.

შეფასება კონტროლის მექანიზმების სტრუქტურისა და დანერგვითა თუ არა ისინი

1. ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგების დღეისათვის ცნობილი ექვსივე მაგალითი ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

2. ინტეგრირებული ანგარიშის დასაბუთებული რწმუნების გარიგების კომპონენტი. ინტეგრირებული ანგარიშის დასაბუთებულ რწმუნებაზე გადასვლისას ინტეგრირებული ანგარიშის მომზადების პროცესის ან/და სხვა ძირითადი ბიზნესპროცესების მიმართ, რომლებიც ღირებულების შექმნასთან არის დაკავშირებული, შეიძლება განხორციელდეს შეზღუდული ან დასაბუთებული რწმუნების გარიგება, ანდა შეთანხმებული პროცედურების. ასეთი გარიგებების ხელშეკრულებები შესაძლოა ითვალისწინებდეს კონფიდენციალური (მაგ., დირექტორთა საბჭოსთვის) ან საჯარო ანგარიშის წარდგენას.

ჩვენი აზრით, მარწმუნებელი მომსახურების შემსრულებელ პრაქტიკოსებს, სავარაუდოდ, დამატებითი მითითებები დასჭირდებათ, რაც მათ დაეხმარება ინტეგრირებულ ანგარიშში მოცემული *საწარმოს* აღწერისა და ამის საფუძველზე დამკვეთის მიერ დამოუკიდებლად შემუშავებული, თავისი ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების შეფასებაში, რომლებიც ფინანსური კაპიტალის გარდა მრავალ სხვა სახის კაპიტალსაც მოიცავს, მათ შორის არამატერიალურ მუხლებს.

როგორია შესაძლებლობები და გამოწვევები?

ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების უნიკალური შესაძლებლობები და ამ სფეროსთან დაკავშირებული გამოწვევები, რომლებიც ეხება როგორც შეზღუდული, ისე დასაბუთებული რწმუნების გარიგებებს, საშუალებას იძლევა შეფასდეს:

- დაკმაყოფილებულია თუ არა მარწმუნებელი მომსახურების წინაპირობები. საწარმოებმა და მარწმუნებელი მომსახურების შემსრულებელმა პრაქტიკოსებმა უნდა უზრუნველყონ პროცესებისა და სისტემების არსებობა, რომლებიც აუცილებელია მტკიცებულებების შესაგროვებლად და შესაბამისი ინფორმაციის მიმართ ნდობის შესაქმნელად, იმის მიუხედავად, რომელი ტიპის მარწმუნებელი გარიგება (შეზღუდული თუ დასაბუთებული რწმუნების) იქნება შერჩეული;
- *საწარმოს* სიტყვიერი აღწერა და სხვადასხვა სახის მარწმუნებელი პროცედურის გამოყენება და მისადაგება იმ ხარისხობრივ ინფორმაციასა და პროცესებთან, რომლებიც ინტეგრირებულ ანგარიშგებასა და ღირებულების შექმნასთან არის დაკავშირებული, მათ შორის:
 - ინტეგრირებულ ანგარიშში მოცემული საწარმოს აღწერა და ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი ისეთი მაჩვენებლების დამოუკიდებლად განსაზღვრა, რომლებიც არ მოითხოვება ფინანსური ანგარიშგებისა და მდგრადობის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით;
 - ინტეგრირებული ანგარიშგების მოსამზადებელი პროცესის სტრუქტურა და მუშაობა, ინტეგრირებულ ანგარიშში აღწერილის შესაბამისად;
 - კონკრეტულად სხვა ძირითად ბიზნესპროცესებში დანერგილი ბიზნესის მართვის კონტროლის მექანიზმების სტრუქტურა და მუშაობა, ინტეგრირებულ ანგარიშში აღწერილის შესაბამისად.
- ინტეგრირებული ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის პრინციპები < IR > საფუძვლების 4.41 პუნქტის შესაბამისად, რომლებიც ეხება ანგარიშის მიზანსა და მომხმარებლებს, არსებითობის განსაზღვრის პროცესს, ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულ საფუძვლებს, მაჩვენებლების შეფასებას და ძირითადი მონაცემების მთლიანობას/საიმედოობას. განმარტებითი შენიშვნების მომზადებისა და წარდგენის პრინციპები ძალიან მნიშვნელოვანია ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგებისთვის, კერძოდ იმის ასახსნელად, როგორ შეივსო < IR > საფუძვლები ისე, რომ დაკმაყოფილებულია ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგებისთვის საჭირო შესაფერისი კრიტერიუმები.

ზემოაღნიშნული ბოლო საკითხი უკავშირდება მარწმუნებელი მომსახურების შემსრულებელ პრაქტიკოსს, რომელიც აფასებს, ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელ გარიგებას რაციონალური მიზანი აქვს თუ არა. ეს ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას იმის თაობაზე, ინვესტირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნა ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ უფრო ფართო რწმუნების მიღებაზე, გამართლებულია თუ არა იმ მმართველობითი რესურსების მოცულობით დაბალანსებულობის თვალსაზრისით, რომლებიც აუცილებელია მათ მიერ მოთხოვნილი მარწმუნებელი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, მოსამზადებლად ან წარსადგენად და ასევე რწმუნების მიღებასთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯების გათვალისწინებით.

ეს უნიკალური შესაძლებლობები და გამოწვევები უშუალოდ გამომდინარეობს ინტეგრირებული ანგარიშგების გამორჩეული მნიშვნელობიდან, კერძოდ, მისი დამკვიდრებიდან ინტეგრირებულ აზროვნებაში, მისი ფოკუსირებიდან *საწარმოს* სიტყვიერ აღწერილობაზე და

ასევე ინტეგრირებული ანგარიშის ძირითადი მომხმარებლების საჭიროებებიდან, რომლებიც ფინანსური კაპიტალის პროვაიდერები არიან, თუმცაღა იმავდროულად ყველა სხვა დაინტერესებული მხარისთვისაც საინტერესოა. ინტეგრირებულ ანგარიშგებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხების სწავლება მიმართული უნდა იყოს სწორედ ამ განსხვავებულ ასპექტებზე.

ასევე შესაძლებელია სხვა სახის მნიშვნელოვანი მომსახურების შესრულებაც, როგორცაა, მაგალითად შეთანხმებული პროცედურების გარიგებები *დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის 4400 (გადასინჯული) – „გარიგებები შეთანხმებულ პროცედურების ჩატარებაზე“* - შესაბამისად (ეს გადამუშავებული სტანდარტი ძალიანაა იმ შეთანხმებული პროცედურების გარიგებებისთვის, რომელთათვისაც გარიგების პირობები შეთანხმებულია 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). შეთანხმებულ პროცედურების ჩატარებაზე გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება და, შესაბამისად, გარიგების შედეგი არ არის საზოგადოებრივი მოსაზრების ჩამოყალიბება. თუმცა, გარიგების შედეგების მიხედვით პრაქტიკოსი აშაადებს ანგარიშს შესაბამისი გამიზნული მომხმარებლებისთვის, როგორცაა, მაგალითად ხელმძღვანელობა, რომელშიც ასახება გამოვლენილი ფაქტები და პრაქტიკოსის რეკომენდაციები, რის საფუძველზეც თვითონ მომხმარებლებს შეუძლიათ საკუთარი დასკვნების გამოტანა და ღონისძიებების შემუშავება (დამატებითი მითითებებისთვის იხ. დოკუმენტი [Agreed-Upon Procedures Engagements: A Growth and Value Opportunity](#)). მაგალითად, შეთანხმებული პროცედურები შეიძლება ეხებოდეს სამუშაოს, რომელიც საჭიროა მეთავალფურთხაზე პასუხისმგებელი პირების მიერ „პასუხისმგებლობის განაცხადის“ დოკუმენტის ხელმოწერის გასამყარებლად, < IR > საფუძვლების 1.20 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

აუდიტორები და რწმუნება ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ

თუ გავითვალისწინებთ, რომ ინტეგრირებული ანგარიშგების მიმართ მარწმუნებელი გარიგების განსახორციელებლად აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ასპექტის ცოდნა, ასევე გავითვალისწინებთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების შესაგროვებლად ჩასატარებელი პროცედურების სპეციფიკას, შეიძლება ითქვას, რომ ინტეგრირებული ანგარიშების შესახებ შეზღუდული და დასაბუთებული რწმუნების გარიგებების განსახორციელებლად იდეალური შესაძლებლობები აქვთ ფინანსურ აუდიტორებს. მარეგულირებელებისთვის, ფინანსური ანგარიშგების აუდიტორების პროფესიული მომზადება, მოთხოვნები, რომლებიც ეხება მარწმუნებელი მომსახურებისთვის აუცილებელ უნარებსა და მეთოდებს, ეთიკასა და ხარისხის მართვას, გაცილებით მაღალ ნდობას ნიშნავს იმ რწმუნების მიმართ, რომელიც მიიღწევა ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგებების საშუალებით.

ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ რწმუნების გაცემა გავლენას ახდენს მარწმუნებელი გარიგების შემსრულებელი პრაქტიკოსის ცოდნაზე, უნარებსა და გამოცდილებაზე. საწარმოსა და მისი საქმიანობის დარგის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნა ფუნდამენტური მოთხოვნაა ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების პრაქტიკოსისთვის, ზუსტად ისევე, როგორც ფინანსური ანგარიშგების აუდიტორისთვის.

შესაბამისად, მართალია, იგულისხმება, რომ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების ხელმძღვანელებს გააჩნიათ მარწმუნებელი მომსახურებისთვის აუცილებელი უნარები, პროფესიული სკეპტიციზმისა და განსჯის გამოყენების უნარი და ასევე ბიზნესის ცოდნა, მაგრამ მათ უნდა გააჩნდეთ ასევე სათანადო კვალიფიკაცია, რათა უხელმძღვანელონ ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგების განხორციელებას მრავალპროფილური გუნდების მხარდაჭერით, საჭიროების შემთხვევაში კი ვიწრო პროფილის (განსახილველი საგნის სფეროს შესაბამისი) ექსპერტების ჩართულობით. ინტეგრირებულ ანგარიშგებაში ასახული თემების იდენტიფიკაციისა და შეფასებისთვის კრიტერიუმების შესაფერისობის განსაზღვრისას აუდიტორების პროფესიული განსჯა და სკეპტიციზმი, სავარაუდოდ, შეივსება სხვადასხვა განსახილველ

საგანთან დაკავშირებით ექსპერტების მოწვევით. მარწმუნებელი მომსახურებისთვის აუცილებელი მეთოდების, ხერხებისა და ინსტრუმენტების ცოდნითა და თავიანთი გამოცდილებით აუდიტორებს საუკეთესო შესაძლებლობები აქვთ იმისა, რომ უხელმძღვანელონ გარიგების მასშტაბის განსაზღვრას, დაგეგმვას, მტკიცებულებების მოპოვებასა და დოკუმენტირებას და ასევე ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგების შედეგების ინფორმირებას სათანადოდ. ფინანსური აუდიტორები სულ უფრო ხშირად ეძებენ იმის შესაძლებლობებს, რომ თავიანთი პროფესიული უნარები გამოიყენონ ინტეგრირებულ ანგარიშგებასთან მიმართებით. ჩვენი აზრით, ეს ტენდენცია უნდა დაჩქარდეს, რათა შესაძლებელი გახდეს ინტეგრირებული ანგარიშგებების შესახებ რწმუნების მიღება და ამაღლდეს აუდიტის, როგორც პროფესიის მიმზიდველობა.

ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგების შესრულება პრაქტიკოსის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას გულისხმობს ანგარიშგებაში ასახული ბიზნესგადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელმა პირებმა და აღმასრულებელმა ხელმძღვანელობამ მიიღეს ღირებულების შექმნის პროცესთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები ეხება:

- **საწარმოს** – მის მმართველობას, სტრატეგიას, რესურსების განაწილებასა და ურთიერთობების მართვას, ბიზნესმოდელს, რისკებისა და შესაძლებლობების მართვისა და ანგარიშგების მომზადების მიდგომებს;
- **მისი საქმიანობის შედეგებს** – თვითონ საწარმოს მიერ განსაზღვრულ, საწარმოსთვის მნიშვნელოვან მაჩვენებლებს (ზოგიერთი მათგანი არ იქნება მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგებისა და მდგრადობის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით, მაგ., ინტელექტუალური კაპიტალის საზომი მაჩვენებელი), რომლებიც უნდა აისახოს ინტეგრირებულ ანგარიშში, ასევე ფინანსური ანგარიშგებისა და მდგრადობის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით მოთხოვნილი ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც ანგარიშგებიდან უნდა გამოირიცხოს არსებითობის საფუძველზე; და
- **ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძველს** – როგორ ხდება ამ საკითხების ასახვა ანგარიშგებაში, მათ შორის, ისეთი საკითხების, როგორცაა გარკვეული ინფორმაციის ხასიათი და სუბიექტურობა და მათი გაზომვის ან შეფასების პროცესისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი შეზღუდვები.

დასასრულ, მარწმუნებელი მომსახურების შესრულებელ პრაქტიკოსს უნდა შეემდოს იმის შეფასება, რამდენად ეფექტიანად წარმოაჩენს ინტეგრირებული ანგარიში მოცემულ საწარმოს.

მოდვენი ნაბიჯები

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ შემოთავაზებული მითითებები გარე გაფართოებული ანგარიშგების რწმუნების შესახებ (უნდა დამტკიცდეს 2021 წლის მარტში და შემდეგ მალევე გამოქვეყნდეს) ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგებების მხარდაჭერის მაგალითია. გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ დებატებში და მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ რწმუნების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე სამომავლო ღონისძიებების თაობაზე, რაც აუცილებელი იქნება მისი დანერგვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის დამატებითი მითითებების შესახებ, რომლებიც სასარგებლო იქნება როგორც აუდიტორების, ისე მარწმუნებელი მომსახურების პროვაიდერებისთვის. ჩვენ მივიჩნია, რომ აუდიტორებსა და მარწმუნებელი მომსახურების პროვაიდერებს, სავარაუდოდ, დამატებითი მითითებები დასჭირდებათ, განსაკუთრებით საწარმოს შესახებ არსებული ხარისხობრივი ინფორმაციისა და მისი ღირებულების შექმნის პროცესის შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა კრიტერიუმის

გამოყენებისა და მათი შესაფერისობის შეფასების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ხელმძღვანელობის მიერ დამოუკიდებლად განსაზღვრულ, საწარმოსთვის მნიშვნელოვან მაჩვენებლებთან, რომლებიც ინტეგრირებულ ანგარიშში განხილულ სხვადასხვა სახის კაპიტალსა და არამატერიალურ მუხლს მოიცავს. თქვენი მოსაზრებების გამოგზავნა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: stathisgould@ifac.org.

კორპორაციული ანგარიშგების ეკოსისტემის შექმნა

- ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ რწმუნების მიღება კორპორაციული მართვისა და ანგარიშგების ეკოსისტემის სასიცოცხლო მნიშვნელობის ნაწილია. აუცილებელია ამ საკითხს ისე მივუდგეთ, როგორც სისტემის ნაწილს და არა რაღაც ისეთს, რომელიც მოგვიანებით დაემატება. სათანადო მიდგომის შემთხვევაში ინტეგრირებული ანგარიშგების შესახებ რწმუნება გააუმჯობესებს ინტეგრირებული ანგარიშგების ხარისხს და სამეწარმეო საქმიანობასაც.
- მართალია, ამ მიმართულებით გარკვეული საფუძვლები უკვე შექმნილია, მაგრამ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე მაინც რჩებიან ისინი, ვინც ჩართული არიან ინტეგრირებული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესში. ინტეგრირებული ანგარიშგებისა და მარწმუნებელი მომსახურების ამ შედარებით ახალ და განვითარებულ სფეროში აუცილებელი იქნება სახელმძღვანელო მითითებებისა და პრაქტიკული მიდგომების შემდგომი განვითარება - პრობლემის მოსაგვარებლად, სავარაუდოდ, საკმარისი არ იქნება მარწმუნებელი მომსახურების დღემდე არსებულ მიდგომებზე დაყრდნობა მნიშვნელოვანწილად მაშინ, როდესაც გაცილებით მეტი აქცენტი კეთდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა აღწერა მითითებით (ნარატიული) და საპროგნოზო ინფორმაცია. ანგარიშგების მომზადებაში ჩართული პირები და მარწმუნებელი მომსახურების პროვაიდერები სიახლეების ინიციატორები უნდა იყვნენ და თავიანთ მოსაზრებებსა და შენიშვნებს აწვდიდნენ სტანდარტების შემუშავებელ ორგანოებს, მომხმარებლებმა კი რეალურად უნდა შეაფასონ თავიანთი მოლოდინები მარწმუნებელი მომსახურების სისტემის განვითარების დონის შესაბამისად. ამისათვის კი აუცილებელია, რომ პროცესის ყველა მონაწილემ გარკვეული რისკი საკუთარ თავზე აიღოს შესაბამისობისა და ნდობის შენარჩუნების მიზნით.
- ბუღალტრთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC) და ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საბჭო (IIRC) პასუხისმგებლობას იღებენ, რომ ხელს შეუწყობენ ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების განვითარებას, ინტეგრირებული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის უწყვეტი სრულყოფის კონტექსტში, ასევე ინოვაციების დანერგვას, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას და ინტეგრირებული ანგარიშგებისა და ინტეგრირებული ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების ერთად განვითარებას.

სხვა წყაროები

რწმუნებასა და მარწმუნებელ მომსახურებასთან დაკავშირებით უფრო ზოგადი ინფორმაცია მოცემულია მდგრადი განვითარების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაცია, მეწარმეთა მსოფლიო საბჭოს (WBSCD) და ინგლისისა და უელსის ნაფიციე ბუღალტრთა ინსტიტუტის (ICAEW) ერთობლივ პუბლიკაციაში „Buyer’s Guide to Assurance on Non-Financial Information“.

ამ საკითხებთან დაკავშირებული, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების აშშ-ის სტანდარტებია: AT-C section 105, Concepts *Common to All Attestation Engagements*, AT-C section 205, *Examination Engagements*; and AT-C section 210, *Review Engagements*. ამ სტანდარტების გაცნობა შესძლებელია AICPA-ს ვებგვერდზე.



529 Fifth Avenue, New York 10017
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 | @ifac | company/ifac



www.integratedreporting.org
@theiirc | company/international-integrated-reporting-council

ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ინტეგრირებული ანგარიშგების მიმართ მარწმუნებელი მომსახურების გამოყენების დაჩქარება საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე არანაირ ქმედებაზე.

„ინტეგრირებული ანგარიშგების მიმართ მარწმუნებელი მომსახურების გამოყენების დაჩქარება საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ინტეგრირებული ანგარიშგების მიმართ მარწმუნებელი მომსახურების გამოყენების დაჩქარება საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: *Accelerating Integrated Reporting Assurance in the Public Interest*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org